**ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები**

**I კვარტალი, 2021**

**სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი**

**ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საინფორმაციო კამპანია**

- ✓ 2020 წლიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შემდგომში-სამინისტრო), ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, დაიწყო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საინფორმაციო კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ საფრთხეებისა და სამინისტროს მიერ ამ კუთხით განხორციელებული რეფორმებისა და მიღწეული შედეგების შესახებ. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია ხორციელდება ოთხი მიმართულებით: კიბერდანაშაული, კრიმინალური მენტალიტეტის წინააღმდეგ ბრძოლა, ტრეფიკინგი და ნარკოდანაშაული. კამპანია მოიცავს, როგორც პირისპირ შეხვედრებს ასევე, ვიდეორგოლების დამზადებასა და განთავსებას ტელევიზიებში, კამპანიას სოციალურ მედიაში და ა.შ.
  სამინისტროს ოფიციალურ პლატფორმებსა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის „Facebook“ და „Instagram“ გვერდებზე რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შესახებ. ასევე, 2021 წლის პირველ კვარტალში გამოქვეყნდა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიში (გრაფიკული ვიდეო). გარდა ამისა, პერიოდულად ქვეყნდება ბანერები/პოსტერები კიბერდანაშაულის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

- ✓ 2021 წლის პირველ კვარტალში, „Discovery“-ის ოფიციალური ლიცენზიით გაგრძელდა კრიმინალურ-დოკუმენტური სერიალის „პოლიციის ფაილები“ გადაღება, რომელიც მიზნად ისახავს, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და საზოგადოებაში პოლიციის ნდობის გაზრდას რეალური შემთხვევების ჩვენებითა და შესაბამისად, პოლიციის საქმიანობის დეტალების გაცნობის გზით. 2021 წლის მარტში ერთ-ერთი

ტელევიზიის ეთერში გავიდა „პოლიციის ფაილების“ მესამე სეზონის სამი სერია. სერიები ასევე განთავსდა „პოლიციის ფაილების“, სამინისტროს და სხვადასხვა, რელევანტური დანაყოფების ოფიციალურ არხებზე (ფბ გვერდები, youtube არხი).

**თბილისის პოლიციის დეპარტამენტი- მართლწესრიგის ოფიცრები**

2021 წლის პირველ კვარტალში, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა- მართლწესრიგის ოფიცრებმა ვიზიტები განახორციელეს თბილისის 6 საჯარო სკოლაში. შეხვედრები მიზნად ისახავდა ერთი მხრივ, მოსწავლეებისთვის მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის საქმიანობაზე ინფორმაციის მიწოდებას, ხოლო მეორე მხრივ, მათი ცნობიერების ამაღლებას ისეთ თემებზე, როგორიცაა ბულინგი, კიბერბულინგი, ბავშვთა უფლებები, მართლწესრიგი და ა.შ.

**ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი**

- **15 იანვარი** -ონლაინ შეხვედრა არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის ბენეფიციარებთან, თემებზე: მე, ჩემი უფლებები და მოვალეობები. შეხვედრა ატარებდა ინფორმაციულ ხასიათს, მიმართული იყო ცნობიერების ამაღლებისაკენ და ესწრებოდნენ 9-დან 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვნები;
- **21 იანვარი-** ონლაინ ლექცია თემაზე „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ ლექციის მიზანს წარმოადგენდა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ერთის მხრივ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის საქმიანობის გაცნობა, ხოლო მეორეს მხრივ პანდემიის პირობებში არასრულწლოვან მოწმესა და დაზარალებულთან კომუნიკაციის საკითხებზე და არასრულწლოვანთა მხრიდან ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებაში სამართლებრივ რეგულაციებზე მსჯელობა. ონლაინ შეხვედრას ესწრებოდა 248 სტუდენტი.
- **22 იანვარი-** ონლაინ შეხვედრა ნაადრევი ქორწინების თემატიკაზე. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა სკოლის მოსწავლეებისათვის მათთვის გასაგებ ენაზე ნაადრევი ქორწინების უარყოფითი შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით სამართლებრივი მექანიზმების გაცნობა. ონლაინ შეხვედრას ესწრებოდა 95 მოსწავლე.
- **23 იანვარი-** ონლაინ შეხვედრა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხუთი საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და მშობლებთან. ონლაინ შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნა პროექტი

„მოზარდთა და მშობელთა ურთიერთობის ხელოვნების“ პრეზენტაცია, რომლის მიზანს წარმოადგენს სკოლის შემდგომი დროის ეფექტიანად დაგეგმვასა და მოზარდებისათვის ინოვაციური და კრეატიული საგანმანათლებლო სერვისების შეთავაზება. განხილული იქნა, სამომავლოდ, აღნიშნულ პროექტში პოლიციის ჩართულობისა და თანამშრომლობის საკითხები;

- **27 იანვარი-** სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩატარდა ონლაინ შეხვედრა არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის ბენეფიციარებთან, თემებზე: საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და ინეტრნეტ უსაფრთხოება. შეხვედრა ატარებდა ინფორმაციულ ხასიათს, მიმართული იყო ცნობიერების ამაღლებისაკენ და ესწრებოდნენ 14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნები;
- **31 იანვარი-** სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდის ,,ვირტუალური საკვირაო სკოლაში“ ქალის მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. პროექტის მიზანია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სტუდენტების და სკოლის მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება. საკვირაო სკოლას ესწრებოდნენ როგორც რეგიონიდან სკოლის მოსწავლეები, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები;
- **2021 წლის იანვარში,** ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ოფიციალურ Facebook გვერდებსა (სამინისტროს, ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის, 112-ის, სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის, სამცხე-ჯავახეთის პოლიციისა და ქვემო ქართლის პოლიციის ოფიციალურ Facebook გვერდებზე) და ტელევიზიებში (სოციალური რეკლამის სტატუსით), ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე განთავსდა ვიდეორგოლი.
- **2 თებერვალი** - ონლაინ ტრენინგი ძალადობის მსხვერპლი პირების სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის თემაზე. განხილულ იქნა პანდემიის პირობებში სამინისტროს მხრიდან ძალადობის მსხვერპლი პირების დაცვის მექანიზმები, ქვეყანაში არსებულ სამართლებრივ რეგულაციები და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მხრიდან მათ მხარდაჭერა. შეხვედრას ესწრებოდა 98 სტუდენტი.
- **3 თებერვალი-** ონლაინ შეხვედრა სტუდენტებთან (დაახლოებით 120 სტუდენტი), ახალგაზრდული პარლამენტის ორგანიზებით, თემატიკა: ადამიანის უფლებები, დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული და სექსუალური შევიწროება;

- **9 თებერვალი-** არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართალი“ ორგანიზებით სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელმა ჩაატარა საჯარო შეხვედრა სტუდენტებთან, თემაზე - დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები. შეხვედრა გაიმართა Facebook ლაივის მეშვეობით, შეხვედრას ესწრებოდა 400-ზე მეტი მონაწილე;
- **13 თებერვალი და 20 მარტი,** სტუდენტებისთვის ონლაინ რეჟიმში გაიმართა ტრენინგი, სადაც სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენელმა განიხილა ძალადობისთვის, ოჯახში ძალადობისთვის, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი დაზიანებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები. ტრენინგს ესწრებოდა 200 მონაწილე;
- **2021 წლის 15 თებერვალი-** სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩაატარეს საჯარო შეხვედრა სტუდენტებთან, თემაზე - დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები. შეხვედრა გაიმართა Zoom-ის და Google Meet-ის პლატფორმის მეშვეობით, შეხვედრას ესწრებოდა 80-ზე მეტი მონაწილე;
- **15 თებერვალი-** ონლაინ ტრენინგი თემაზე „ციფრული ძალადობა“. უსაფრთხო ინტერნეტის დღე, ყოველწლიურად თებერვლის თვეში, მსოფლიოს მასშტაბით აღინიშნება და მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენებისა და ონლაინ არსებულ საფრთხეებზე. დეპარტამენტის წარმომადგენლებმა სტუდენტებთან შეხვედრაზე ისაუბრეს ციფრული ძალადობის ფორმებზე და კიბერდანაშაულზე. შეხვედრას ესწრებოდა 96 სტუდენტი
- **თებერვლის თვეში,** სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლების ინიციატივით, მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების თაობაზე, მომზადდა ვიდეორგოლი და რელიზი, რომლებიც განთავსდა სოციალურ ქსელებში.

  შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, 2020 წლის 1 სექტემბრიდან, შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან ერთად მოძალადის მიმართ შესაძლოა გამოყენებული იქნეს ელექტრონული ზედამხედველობა, მსხვერპლის ან მისი კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის თანხმობით. ზედამხედველობის მიზანი, მსხვერპლთა უსაფრთხოების დაცვის გარანტიების გაზრდაა.
- **18 თებერვალი-** საინფორმაციო შეხვედრები ქ.თბილისის N98-ე საჯარო სკოლის 3-4 კლასის მოსწავლეებთან უსაფრთხოების საკითხებზე. მოსწავლეებს ინფორმაცია მიეწოდათ შემდეგ საკითხებზე: რა არის კანონები, რატომ არის საჭირო მათი დაცვა, სად იკვეთება ჩვენი უსაფრთხოება და კანონები. აღნიშნული ღონისძიების მიზანს ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა;
- **23 თებერვალი** - ონლაინ შეხვედრა სტუდენტებთან (დაახლოებით 80 სტუდენტი), ახალგაზრდული პარლამენტის ორგანიზებით, თემატიკა: სექსუალური შევიწროება;

- **25 თებერვალი** - ონლაინ შეხვედრა სტუდენტებთან (დაახლოებით 120 სტუდენტი), ახალგაზრდული პარლამენტის ორგანიზებით, თემატიკა: ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა;

- **4 მარტი-** საინფორმაციო შეხვედრები ქ.თბილისის N98-ე საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებთან. მოსწავლეებს ინფორმაცია მიეწოდათ შემდეგ საკითხებზე: არასრულწლოვანი და პასუხისმგებლობა, ნაადრევი ქორწინება და დანაშაულები ინტერნეტ სივრცეში.
- **11 მარტი** - ტრენინგი სტუდენტებისთვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო განრიდებისა და განრიდება-მედიაციის პროგრამის არსის განხილვასა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესით მართლმსაჯულების განხორციელების მნიშვნელობას. შეხვედრას ესწრებოდა 150 მონაწილე;
- **10 მარტი** - ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" მიერ ორგანიზებულ ონლაინ შეხვედრა/დისკუსიაში ,,სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში". აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში, დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ისაუბრეს სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით სამინისტროს მიდგომებზე და იმ საკანონმდებლო რეაგირების მექანიზმებზე, რასაც ფაქტის გამოვლენისას იყენებს. ასევე, მოხდა იმ გამოწვევებსა და ტენდენციებზე საუბარი, რაც სექსუალური შევიწროების საქმეების მონიტორინგისას ვლინდება;
- **12 მარტი** - ონლაინ შეხვედრები დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის ბენეფიციარებთან. არასრულწლოვან ბენეფიციარებს ინფორმაცია მიეწოდათ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საზოგადოებრივი უსაფრთხოების და მართლწესრიგის დაცვა, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ინტერნეტ სივრცეში ჩადენილი დანაშაულები და მსგავსი ტიპის უკანონო ქმედებებისგან თავდაცვა, დისკრიმინაცია და ამ მოტივით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები, ნარკოტიკული დანაშაული და ამ ტიპის დანაშაულისადმი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიდგომები.

- **14 მარტი** - საჯარო შეხვედრა სტუდენტებთან, საქართველოს სტუდენტური პარლამენტის ორგანიზებით, თემაზე - სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების საერთაშორისო ვალდებულებები. შეხვედრას ესწრებოდა 50-ზე მეტი მონაწილე;
- **17 მარტი-** სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს რადიო „იმედი"-ს გადაცემაში ,,საუბრები ადამიანის უფლებებზე". გადაცემის თემას წარმოადგენდა - ქალების უფლებები, ოჯახში ძალადობა. დეპარტამენტის წარმომადგენელმა ისაუბრა სამინისტროს მიდგომებზე ოჯახში/ქალთა მიმართ ძალადობაზე, იმ ტენდენციებზე, რაც ამ ტიპის ძალადობებს ახასიათებთ, სტატისტიკურ მონაცემებზე, მექანიზმებზე, რასაც უწყება იყენებს ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში;

- **18 მარტი** - შეხვედრა სტუდენტებთან, საქართველოს სტუდენტური პარლამენტის ორგანიზებით, თემაზე - ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა გენდერის ნიშნით. შეხვედრაზე განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ოჯახში ძალადობა, ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობა, გენდერული სტერეოტიპები, გენდერული მეინსტრიმინგი და სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულები, რომელთა დამამძიმებელ გარემოებად მითითიებულია გენდერის ნიშნით დანაშაულის ჩადენა. შეხვედრას ესწრებოდა 70-ზე მეტი სტუდენტი;
- **20 მარტი-** შეხვედრა სტუდენტებთან საქართველოს სტუდენტური პარლამენტის ორგანიზებით, თემაზე - რასობრივი, რელიგიური, ეროვნული და ეთნიკური ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები, შეხვედრაზე განხილულ იქნა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული და ეთნიკური ნიშნების განმარტებები, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულები, რომელთა დამამძიმებელ გარემოებად მითითიებულია რასობრივი, რელიგიური, ეროვნული და ეთნიკური ნიშნებით დანაშაულის ჩადენა და ზოგადად ამ კატეგორიის დანაშაულების სპეციფიკური საკითხები. შეხვედრას ესწრებოდა 70-ზე მეტი სტუდენტი;
- **25 მარტი-** ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაციის - ,,ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" მიერ ორგანიზებულ ონლაინ-დისკუსიაში, რომელიც შეეხებოდა ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე გამოვლენილ ტენდენციებს. დისკუსიის ფარგლებში დეპარტამენტის წარმომადგენელმა ისაუბრა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღწეულ პროგრესსა და არსებულ გამოწვევებზე.
- **2021 წლის 25 მარტს,** ტრენინგი სტუდენტებისთვის ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. ტრენინგის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სტამბოლოს კონვენციასა და რელევანტურ შიდა კანონმდებლობაზე. მნიშვნელოვანი დრო დაეთმო შემაკავებელი და დამცავი ორდერების სამართლებრივ რეგულირებას. ტრენინგს ესწრებოდა 125 მონაწილე;
- **25 მარტი** - ტრენინგი სტუდენტებისთვის დაკავების სამართლებრივ რეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ტრენინგის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა დაკავების საფუძვლებზე, დროზე, ვადაზე, უფლებამოსილ სუბიექტზე, გათავისუფლების საფუძვლებზე და ა.შ. ტრენინგს ესწრებოდა 85 მონაწილე;

- **30 მარტი-** საინფორმაციო შეხვედრები ქ.თბილისი N98-ე საჯარო სკოლის მე-10 და მე-5 კლასის მოსწავლეებთან. სკოლის მოსწავლეებს, ინფორმაცია მიეწოდათ შემდეგ საკითხებზე: არასრულწლოვანი და კანონი, სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, კანონების მნიშვნელობა. შეხვედრები დისკუსიის რეჟიმში წარიმართა.

- **30 მარტი-** შეხვედრა სტუდენტებთან საქართველოს სტუდენტური პარლამენტის ორგანიზებით, თემაზე - ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. შეხვედრაზე განხილული იქნა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, აბსოლიტური უფლებები, უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი, როდის შეიძლება შეიზღუდოს, ვის მიერ და ა.შ. შეხვედრას ესწრებოდა 70-ზე მეტი სტუდენტი;

<u>საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი -112</u>

- 2021 წლის იანვარში ტელეკომპანია იმედის პროექტ „დამუხტეს“ ფარგლებში მომზადდა ვიდეო რგოლი, სადაც 112-ის ოპერატორი საუბრობს პანდემიის პერიოდში 112-ის საგანგებო რეჟიმში მუშაობის შესახებ და მოუწოდებს მოქალაქეებს, არამიზნობრივად არ მიმართონ 112-ს, რათა არ წაართვან დაკავშირების შანსი იმ მოქალაქეებს, რომლებსაც რეალურად სჭირდებათ გადაუდებელი დახმარება.
  **ვიდეო-რგოლი განთავსდა 112-ის ოფიციალურ ვებგვერდზე, ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე, ასევე youtube-ის არხზე და გავიდა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში.**

- 112-ის დღესთან დაკავშირებით, 2021 წლის 11 თებერვალს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის დირექტორი გიორგი არსოშვილი იმყოფებოდა სტუმრად სხვადასხვა გადაცემაში, ასევე მას ჰქონდა პირდაპირი ჩართვები ცენტრიდან. მან სხვადასხვა გადაცემის ეთერიდან ცენტრის თანამშრომლებს 112-ის დღე მიულოცა, ისაუბრა პანდემიის პერიოდში 112-ის განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობის შესახებ და განვლილი 2020 წელი შეაჯამა.
  ამ დღესთან დაკავშირებით ჩართვები განხორციელდა, ტელეკომპანია იმედის, რუსთავის 2 ის, საზოგადოებრივი მაუწყებლის, ევრონიუსისა და მაესტროს ეთერებში, გადაცემების ჩანაწერები ასევე განთავსდა ტელეკომპანიების ვებგვერდებსა და ოფიციალურ სოციალურ ქსელებში.
  ასევე მომზადდა სიუჟეტები 112-ის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების შესახებ, ამავე სიუჟეტებში 112-ის ოპერატორებმა ისაუბრეს პანდემიის პერიოდში მუშაობის თავისებურებებზე.
  11 თებერვლის ღონისძიებასთან დაკავშირებული ვიდეო-მასალა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის დირექტორი გიორგი არსოშვილის ჩართვები და გადაცემებში სტუმრობები განთავსდა როგორც 112-ის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე ფეისუქის გვერდსა და youtube-ის არხზე.